

ბოემეს ონტოლოგიური მოდელი

ეკატერინე მალრაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ცოფურაშვილი, პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი , ვაცხადებ , რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ , გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს , რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკატერინე, მაღრაძე, ე.მაღრაძე 10.07.2020”.

სარჩევი

შესავალი	5 გვ
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	7 გვ
1. იაკობ ბოემეს წინამორბედები	12 გვ
1.1. ჰერაკლიტე ეფესელი.....	13 გვ
1.2. თეოფრასტე პარაცელსი.....	16 გვ
1.3. ვალენტინ ვაიგელი	20 გვ
1.4. მარტინ ლუთერი.....	25 გვ
1.5. მაისტერ ეკჰარტი.....	31 გვ
2. იაკობ ბოემეს ბიოგრაფია.....	37 გვ
3. ბოემეს ონტოლოგიური მოდელი.....	40 გვ
3.1 Ungrund-ის და Qualität-ის ცნებების განხილვა.....	40 გვ
3.2 სამების იდეა ბოემეს ონტოლოგიაში.....	48 გვ
4. ანთროპოლოგიური მოდელი ბოემეს ონტოლოგიურ სისტემაში (მიკრო და მაკრო კოსმოსი).....	53 გვ
4.1 ადამიანის როლი ბოემეს ონტოლოგიაში.....	57 გვ
5. ბოროტების სუბსტანციურობის იდეა.....	67 გვ
6. ბოემეს გავლენა გერმანული იდეალიზმზე.....	72 გვ
<i>პარალელი შელინგის სწავლებასთან</i>	
6. დასკვნა.....	77 გვ
7. ბიბლიოგრაფია.....	79 გვ

აბსტრაქტი

ზემოთხსენებულ ნაშრომში განხილულია გერმანელი თეოსოფის იაკობ ბოემეს (1575-1624) ონტოლოგიური სისტემა, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც ფილოსოფიური, ასევე თეოლოგიური სწავლებებისთვის.

სამიგისტრო ნაშრომის მიზანია, ცხადყოს რეფორმაციული პერიოდის მნიშვნელობა და იდეოლოგიური განსხვავება კლასიკური, სქოლასტიკური პარადიგმისგან; გამოყოფილი იქნება გერმანული მისტიციზმისთვის დამახასიათებელი ელემენტები, რაც იაკობ ბოემეს თეოსოფიურ კონცეფციაში ყველაზე უკეთ ვლინდება. გერმანელი თეოსოფის სწავლებაში ნაჩვენებია მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები წინამორბედ ფილოსოფიურ და თეოლოგიურ იდეოლოგიებთან ანტიკური სააზროვნო ტრადიციიდან-რეფორმაციულ პერიოდამდე.

ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს იაკობ ბოემეს სწავლების ინოვაცია და მსგავსება უკვე არსებულ ფილოსოფიურ კონცეფციებთან. ნაშრომი ეყრდნობა მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტექსტს *ავრორას, ანუ ცისკრის ვარსკვლავს*¹, რომელშიც გერმანელი მისტიკოსი თავის ონტოლოგიური სისტემას ვრცლად განიხილავს იმდროინდელი გერმანული რომანტიკულ-მისტიკური, ლიტერატურული სტილის გამოყენებით.

სამაგისტრო ნაშრომი ისტორიულად მიმოიხილავს იაკობ ბოემეს წინამორბედებს, შეეხება იმდროინდელ სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობას, რამაც ხელი შეუწყო გერმანული მისტიციზმის განვითარებას. ძირითადი ნაწილი დაეთმო ონტოლოგიური სისტემის ვრცელ ანალიზს, რომელიც რეფორმაციული ინოვაციითაა ნასაზრდოები. დასკვნის სახით კი, წარმოჩენილი იქნება გერმანული მისტიციზმის სიახლე და მნიშვნელობა თანამედროვე სააზროვნო ტრადიციებისთვის.

¹ Бёме, Якоб.1612.(*Аврора, или Утренняя заря в восхождении, или....*). Direct MEDIA,2014